ლოპეზ ოსტრა ესპანეთის წინააღმდეგ
Lopez Ostra v. Spain
საჩივარი N16798/90
09/12/1994

მიუხედავად იმისა, რომ მეზობელი საწარმოს მიერ შექმნილი დაბინძურება წარმოშობდა ძირითადად გარემოსდაცვით პრობლემას, სასამართლომ აღნიშნა, რომ ამან სერიოზულად იმოქმედა მოსარჩელის საკუთრებით სარგებლობის შესაძლებლობაზე. სასამართლოს თანახმად, სახელმწიფოს ვალდებულება იყო დაეცვა მოსარჩელის ცხოვრება და ქონება მეზობელი საწარმოს მავნე ზემოქმედებისგან.

საქმის გარემოებები

(რელევანტური ამონარიდები)

1990 წლის 14 მაისს გრეგორია ლოპეს ოსტრამ ესპანეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ ანგარიში წარადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიაში. მან განაცხადა, რომ სახელმწიფოს მიერ მისი სახლიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით მდებარე მყარი და თხევადი ნარჩენების გადამამუშავებელ ქარხანაში წარმოქმნილი სუნის, ხმაურისა და დამაბინძურებელი კვამლის წინააღმდეგ რაიმე ზომების მიუღებლობა არღვევდა მისი ფიზიკური მთლიანობის (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი) და სახლისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის (კონვენციის მე-8 მუხლი) უფლებებს. 1993 წლის 31 აგვისტოს კომისიამ განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა სახლისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას, მაგრამ არა ფიზიკური მთლიანობის უფლების დარღვევას. იმავე წლის დეკემბერში კომისიამ საქმე გადასცა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს (ECHR), რომელმაც დაადასტურა კომისიის დასკვნები. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არც მოსარჩელის გადასვლა და არც ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის დახურვა არ ცვლიდა იმ ფაქტს, რომ მოსარჩელე და მისი ოჯახი წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ სუნისა და კვამლის წყაროდან რამდენიმე მეტრის დაშორებით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფო პასუხისმგებლად ცნო სახლისა და პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევაში, რადგან სერიოზულმა დაბინძურებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ინდივიდის კეთილდღეობაზე და ხელი შეუშალოს მას საკუთარი სახლით ისე სარგებლობაში, რომ ზიანი მიაყენოს მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას. ევროპულმა სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო ადეკვატური ბალანსის პოვნა ქალაქის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის ინტერესსა და მოსარჩელის მიერ მისი უფლებებით ეფექტურად სარგებლობას შორის, რის გამოც სახელმწიფოს

დაავალა მიყენებული ზიანისა და სასამართლო ხარჯების კომპენსაციის გადახდა. თუმცა, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განცდილი პირობები არ წარმოადგენდა დამამცირებელ მოპყრობას, როგორც ეს გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით.

კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

44. ქ-ნმა ლოპეს ოსტრამ თავდაპირველად განაცხადა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს:

“1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის პირად და ოჯახურ ცხოვრებას, მის საცხოვრებელსა და მიმოწერას.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრიცი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან მორალის თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.”

კომისია დაეთანხმა ამ მოსაზრებას, ხოლო მთავრობამ გააპროტესტა იგი.
45. მთავრობამ განაცხადა, რომ კომისიისთვის წარდგენილი და მის მიერ დასაშვებად გამოცხადებული საჩივარი (იხილეთ ზემოთ 30-ე და 31-ე პუნქტები) არ იყო იგივე, რაც ესპანეთის სასამართლოებმა განიხილეს ფუნდამენტური უფლებების დაცვის შესახებ განაცხადში, რადგან, როგორც ჩანს, ის ეფუძნებოდა ამ განაცხადზე გვიანდელ განცხადებებს, სამედიცინო დასკვნებსა და ტექნიკური ექსპერტების დასკვნებს და სრულიად არ იყო დაკავშირებული მასთან.
46. ეს არგუმენტი ევროპული სასამართლოსთვის მისაღები არ აღმოჩნდა. მომჩივანი დავობდა სიტუაციაზე, რომელიც მუნიციპალიტეტისა და შესაბამისი ორგანოების უმოქმედობის გამო გახანგრძლივდა. ეს უმოქმედობა ერთ-ერთი ფუნდამენტური პუნქტი იყო როგორც კომისიაში წარდგენილ საჩივრებში, ასევე *Murcia Audiencia Territorial*-ში წარდგენილ განაცხადში (იხ. ზემოთ მე-10 პუნქტი). ის ფაქტი, რომ ეს გაგრძელდა კომისიაში განაცხადის შეტანისა და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, არ შეიძლება მომჩივნის წინააღმდეგ წაყენებულიყო. როდესაც განსახილველი სიტუაცია განგრძობითია, ევროპულ სასამართლოს შეუძლია გაითვალისწინოს ფაქტები, რომლებიც წარმოიშვა საჩივრის შეტანის შემდეგ და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგაც კი

(იხ. Neumeister v. Austria გადაწყვეტილება 27 ივნისი 1968, Series A no. 8, p. 21, პარ.28, და გვ. 38, პარ. 7).

47. ქ-ი ლოპეს ოსტრა ამტკიცებდა, რომ 1988 წლის 9 სექტემბერს ნაწილობრივი დახურვის მიუხედავად, ქარხანა კვლავ გამოყოფდა კვამლს, განმეორებად ხმაურს და ძლიერ სუნს, რაც მისი ოჯახის საცხოვრებელ პირობებს აუტანელს ხდიდა და როგორც მას, ასევე მათ ჯანმრთელობის სერიოზულ პრობლემებს უქმნიდა. ამასთან დაკავშირებით, იგი ამტკიცებდა, რომ მისი საცხოვრებლის პატივისცემის უფლება დაირღვა.

48. მთავრობამ უარყო, რომ სიტუაცია მართლაც ისეთივე სერიოზული იყო როგორც აღწერდნენ.

49. მთავრობის ან მომჩივნის მიერ წარდგენილი სამედიცინო დასკვნებისა და ექსპერტების დასკვნების საფუძველზე, კომისიამ, სხვა საკითხებთან ერთად, აღნიშნა, რომ ქარხნიდან გოგირდწყალბადის გამოყოფა აღემატებოდა დაშვებულ ზღვარს და შესაძლოა საფრთხე შეექმნა ახლომდებარე მაცხოვრებლების ჯანმრთელობას და რომ შესაძლოა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი ამ გამოყოფასა და მომჩივნის ქალიშვილის დაავადებებს შორის.

50. სასამართლოს აზრით, ეს დასკვნები მხოლოდ ადასტურებს პირველ ექსპერტის დასკვნას, რომელიც წარედგინა Audiencia Territorial-ს 1989 წლის 19 იანვარს რეგიონული გარემოსა და ბუნების სააგენტოს მიერ ქალბატონი ლოპეს ოსტრას ფუნდამენტური უფლებების დაცვის შესახებ განაცხადთან დაკავშირებით. სამეფო ადვოკატმა მხარი დაუჭირა ამ საჩივარს როგორც პირველ ინსტანციაში, ასევე სააპელაციო საჩივარში (იხილეთ ზემოთ მე-11 და მე-13 პუნქტები). თავად Audiencia Territorial-მა აღიარა, რომ ჯანმრთელობის სერიოზული რისკის გარეშე, სადავო უსიამოვნებები აუარესებდა ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ცხოვრების ხარისხს, მაგრამ დაადგინა, რომ ეს დარღვევა არ იყო საკმარისად სერიოზული იმისთვის, რომ დაერღვია კონსტიტუციით აღიარებული ფუნდამენტური უფლებები (იხილეთ ზემოთ მე-11 პუნქტი).

51. ბუნებრივია, გარემოს სერიოზულმა დაბინძურებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ინდივიდების კეთილდღეობაზე და ხელი შეუშალოს მათ საკუთარი სახლებით ტკბობაში ისე, რომ უარყოფითად იმოქმედოს მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე, თუმცა, მათი ჯანმრთელობის სერიოზული საფრთხის გარეშე. მიუხედავად იმისა, გაანალიზებულია თუ არა საკითხი სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების თვალსაზრისით - მიიღოს გონივრული და შესაბამისი ზომები მომჩივნის მე-8 მუხლის (მუხ. 8-1) პირველი პუნქტის შესაბამისად უფლებების უზრუნველსაყოფად - როგორც ამას მომჩივანი ისურვებს მის შემთხვევაში, თუ „საჯარო ხელისუფლების ჩარევის“ თვალსაზრისით, რომელიც გამართლებულია მე-2 პუნქტის (მუხ. 8-2) შესაბამისად, მოქმედი პრინციპები ძირითადად მსგავსია. ორივე კონტექსტში გათვალისწინებული

უნდა იყოს სამართლიანი ბალანსი, რომელიც უნდა იყოს დაცული ინდივიდისა და მთლიანად საზოგადოების კონკურენტ ინტერესებს შორის და ნებისმიერ შემთხვევაში სახელმწიფო სარგებლობს გარკვეული თავისუფალი შეფასების ფარგლებით. გარდა ამისა, მე-8 მუხლის (მუხ. 8-1) პირველი პუნქტიდან გამომდინარე პოზიტიურ ვალდებულებებთან მიმართებაშიც კი, საჭირო ბალანსის მისაღწევად, მეორე პუნქტში (მუხ. 8-2) მოხსენიებულ მიზნებს შეიძლება გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდეს (კერძოდ იხ. the Rees v. the United Kingdom გადაწყვეტილება 17 ოქტომბერი 1986, Series A no. 106, p. 15, პარ. 37, და the Powell and Rayner v. the United Kingdom გადაწყვეტილება 21 თებერვალი 1990, Series A no. 172, გვ. 18, პარ. 41).

52. მტკიცებულებებიდან ჩანს, რომ ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხანა SACURSA-მ 1988 წლის ივლისში ააშენა, რათა ლორკაში სათრიმლავი ქარხნების კონცენტრაციით გამოწვეული სერიოზული დაბინძურების პრობლემა გადაეჭრა. თუმცა, როგორც კი ის ამუშავდა, ქარხანამ ბევრი ადგილობრივი მოსახლისთვის უსიამოვნება და ჯანმრთელობის პრობლემები შექმნა. უნდა ვაღიაროთ, რომ ესპანეთის ხელისუფლება, კერძოდ კი ლორკას მუნიციპალიტეტი, თეორიულად პირდაპირ არ იყო პასუხისმგებელი სადავო ემისიებზე. თუმცა, როგორც კომისიამ აღნიშნა, ქალაქმა ნება დართო ქარხნის მის მიწაზე აშენებას და სახელმწიფომ სუბსიდირება გაუწია ქარხნის მშენებლობას.

53. ქალაქის საბჭომ დაუყოვნებლივ მოახდინა რეაგირება დაზარალებული მაცხოვრებლების ქალაქის ცენტრში უფასოდ განთავსებით 1988 წლის ივლისის, აგვისტოსა და სექტემბრის თვეებში, შემდეგ კი 9 სექტემბრიდან შეაჩერა ერთ-ერთი ქარხნის საქმიანობა. თუმცა, საბჭოს წევრებს არ შეეძლოთ არ სცოდნოდათ, რომ გარემოსდაცვითი პრობლემები ამ ნაწილობრივი დახურვის შემდეგაც გრძელდებოდა. უფრო მეტიც, ეს დადასტურდა ჯერ კიდევ 1989 წლის 19 იანვარს რეგიონული გარემოსა და ბუნების სააგენტოს ანგარიშით, ხოლო შემდეგ 1991, 1992 და 1993 წლებში ექსპერტების დასკვნებით.

54. ქალბატონმა ლოპეს ოსტრამ განაცხადა, რომ 1961 წლის რეგულაციებით მუნიციპალიტეტისთვის მინიჭებული ზოგადი საზედამხედველო უფლებამოსილებების ძალით, მუნიციპალიტეტს ევალებოდა მოქმედება. გარდა ამისა, ქარხანა არ აკმაყოფილებდა სამართლებრივ მოთხოვნებს, კერძოდ, მის ადგილმდებარეობასა და მუნიციპალური ლიცენზიის მიუღებლობასთან დაკავშირებით.

55. ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ ქარხნის მშენებლობისა და ფუნქციონირების კანონიერების საკითხი უზენაეს სასამართლოში 1991 წლიდან განიხილება. სასამართლომ არაერთხელ დაადგინა, რომ შიდა კანონმდებლობის ინტერპრეტაცია და გამოყენება, ძირითადად, ეროვნული ხელისუფლების, კერძოდ, სასამართლოების, კომპეტენციაა (იხ. *inter alia*, Casado Coca v. Spain გადაწყვეტილება 24 თებერვალი 1994, Series A no. 285-A, გვ. 18, პარ. 43).

ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო მიიჩნევს, რომ წინამდებარე საქმეში, მაშინაც კი, თუ ვივარაუდებთ, რომ მუნიციპალიტეტმა შეასრულა შიდა კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციები (იხ. ზემოთ პუნქტები 27 და 28), მას მხოლოდ იმის დადგენა სჭირდება, მიიღეს თუ არა ეროვნულმა ხელისუფლებამ ზომები, რომლებიც აუცილებელია მომჩივნის საცხოვრებლისა და პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დასაცავად მე-8 მუხლის შესაბამისად (იხ. სხვა მითითებებთან ერთად *mutatis mutandis*, the X and Y v. the Netherlands გადაწყვეტილება 26 მარტი 1985, Series A no. 91, გვ. 11, პარ. 23).

56. უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტმა არა მხოლოდ არ გადადგა ნაბიჯები ამ მიზნით 1988 წლის 9 სექტემბრის შემდეგ, არამედ წინააღმდეგობა გაუწია სასამართლო გადაწყვეტილებებს ამ საკითხთან დაკავშირებით. ქალბატონი ლოპეს ოსტრას რძლის მიერ ინიცირებულ ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ წარმოებაში მუნიციპალიტეტმა გაასაჩივრა მურსიას უზენაესი სასამართლოს 1991 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ქარხნის დროებით დახურვას ექვემდებარებოდა, რის შედეგადაც ეს ღონისძიება შეჩერდა. სხვა სახელმწიფო ორგანოებმაც შეიტანეს წვლილი სიტუაციის გაჭიანურებაში. 1991 წლის 19 ნოემბერს სამეფო ადვოკატმა გაასაჩივრა ლორკას გამომძიებელი მოსამართლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება ქარხნის დროებით დახურვის შესახებ გარემოსდაცვითი ჯანმრთელობის დარღვევის გამო, რის შედეგადაც ბრძანება აღსრულდა მხოლოდ 1993 წლის 27 ოქტომბრამდე.

57. მთავრობამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ქალაქმა გაიღო ლორკას ცენტრში ბინის ქირის ხარჯები, რომელშიც მომჩივანი და მისი ოჯახი 1992 წლის 1-ელი თებერვლიდან 1993 წლის თებერვლამდე ცხოვრობდნენ (იხილეთ ზემოთ 21-ე პუნქტი).

თუმცა, სასამართლო აღნიშნავს, რომ ოჯახს სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოუწია ქარხნის მიერ გამოწვეული უსიამოვნების ატანა, სანამ საცხოვრებლად გადავიდოდნენ ყველა თანმდევი უხერხულობით. ისინი მხოლოდ მაშინ გადავიდნენ საცხოვრებლად, როდესაც გაირკვა, რომ სიტუაცია შეიძლებოდა განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებულიყო და როდესაც ქალბატონი ლოპეს ოსტრას ქალიშვილის პედიატრმა ურჩია მათ ამის გაკეთება (იხილეთ ზემოთ პუნქტები 16, 17 და 19). ამ გარემოებებში, მუნიციპალიტეტის შეთავაზება ვერ უზრუნველყოფდა მათ მიერ განცდილი უსიამოვნებისა და უხერხულობის სრულ ანაზღაურებას.

58. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და მოპასუხე სახელმწიფოსთვის დატოვებული შეფასების თავისუფალი ფარგლების მიუხედავად, სასამართლო მიიჩნევს, რომ სახელმწიფომ ვერ შეძლო სამართლიანი ბალანსის დამყარება ქალაქის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებს - ნარჩენების გადამამუშავებელი ქარხნის ქონას - და მომჩივნის მიერ საცხოვრებლის, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების ეფექტურად სარგებლობას შორის.

შესაბამისად, ადგილი ჰქონდა მე-8 მუხლის (მუხ. 8) დარღვევას.